

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

30.08.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
საბა სარიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (Chemonics International), საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიანა ზამბახიძე - საჯარო სამართლის კორპორაციის - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს სხდომის მდივანი;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი;
შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას“ დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
მარიკა შიოშვილი - კომპონენტთა შორის პროექტების და დევნილთა საბინაო საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელი (NORC (North Opinion Research Center) at the University of Chicago). პროექტი ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები (USAID/NEO);
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი (Deloitte).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ელენე ჯიბლაძე - დირექტორი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი - „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ სასწავლო მასალების კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. თეონა მენაფირე - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ რექტორის წარმომადგენლის სპეციალისტი;
2. მალხაზ ასლამაზიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ აისის დირექტორის მოადგილე;
3. ნოდარ ხარაზიშვილი - სსიპ - გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
4. ნოდარ მეგრელიშვილი - სსიპ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;

5. თინა ჯოღბორდი - სსიპ - გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის პედაგოგი;
6. მანანა შეწირული - სსიპ - გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის პედაგოგი;
7. იზოლდა ხალვაში - შპს ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დირექტორის მოადგილე;
8. მანანა ხაბაძე - შპს ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
9. ნესტან ბოლქვაძე - შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის ხარისხის სისტემის მენეჯერი;
10. კიტა ჭაჭიაშვილი - შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორი;
11. ნატო ქობულაძე - შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის მდივანი;
12. ილია მატიაშვილი - შპს „ილია“ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი;
13. თამარ აბულაშვილი - შპს „ილია“ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი;
14. ნანა ბეროშვილი - შპს გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +-ის დირექტორი;
15. ლავრენტი ჭუმბურიძე - შპს ბულალტერთა მომზადების ცენტრის დირექტორი;
16. ლალი ზაუტაშვილი - ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნების დირექტორი;
17. ლია ბუღაძე - ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
18. ნინო მიქელაძე (ილუმენია მარიამი) - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის დირექტორი;
19. ეკატერინე დელიბაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის სასწავლო დარგის კოორდინატორი;
20. თამარ კვიციანიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის ხარისხის მენეჯერი;
21. ირაკლი ფაღავა - შპს ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია დასტაქარის დირექტორი;
22. ალინა კუპრავა - შპს ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია დასტაქარის იურისტი, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავლის იურიდიული სამსახურის უფროსი;
23. ლალი ბიჩინაშვილი - შპს ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია დასტაქარის ხარისხის მართვის მენეჯერი;
24. სვეტლანა ბახია - შპს „არგოს“ დირექტორი;
25. ნათელა ბურდული - შპს „არგოს“ დირექტორის მოადგილე;
26. ირინე კორინთელი - შპს „არგოს“ პროგრამების კონსულტანტი;
27. ოთარ შარაძე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავლის დირექტორი;
28. ნოდარ ბაკურაძე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავლის ხარისხის მართვის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

- თეა ლილუაშვილი;
- შორენა ჯაფარიძე;
- თეა შაყულაშვილი;
- თამარ რემიშვილი;
- ეკა ლუაშვილი;
- მაყვალა დარსანია;
- მაია დანელია.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 12:30 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - "ილია"-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - ბუღალტერთა მომზადების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია დასტაქარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - არგოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეახსენა დღის წესრიგით დაკავშირებული საკითხები, ასევე, დაწესებულებების წარმომადგენლებს შეახსენა, რომ უნდა წარმოედგინათ მინდობილობები, თუ სხდომაზე არ იმყოფებოდა კონკრეტული დაწესებულების დირექტორი. თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომლებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ იყო შემოსული შუამდგომლობა. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტმა, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით ცენტრში შუამდგომლობა არ იყო შემოსული.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ჯგუფის წევრმა თეა ლილუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება უკვე ახორციელებდა ბულალტრის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას და ამჟამად სურდა დამატებინა იგივე პროგრამის მეოთხე საფეხური. ექსპერტის განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილი იყო ცენტრის მიერ შეთავაზებული სარეკომენდაციო ფორმის შესაბამისად. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ამასთან ექსპერტმა აღნიშნა ის დეტალები, რაც ვიზიტის დროს გასწორდა. კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. წარმოდგენილი პროგრამებიდან ბულალტრის მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაში მისაღწევი შედეგები იყო მესამე საფეხურის სტანდარტის შესაბამისი. პროგრამის სილაბუსებში არ იყო სტანდარტის მოთხოვნით გათვალისწინებული ფორუმების გამოყენების და ბანკი - კლიენტ პროგრამასთან მუშაობის უნარი;

1.2. ტოპოგრაფის და სავალი ნაწილის ტექნიკოსის სასწავლო საგანს წარმოდგენს პროფესიული ეთიკა, რომლის მიზნები და შედეგები იყო იდენტიფიცირებული;

1.3. მოლარის (ბანკის და ა.შ.) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების ჯამის დაანგარიშება არ იყო სწორი. ფულადი ნიშნების ექსპერტიზის სილაბუსში ლიტერატურაში მითითებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებულებები, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებები, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული რომელი ბრძანებულებები და დადგენილებები. ტოპოგრაფის, სავალი ნაწილის ტექნიკოსის და მოლარის (ბანკის და ა.შ.);

1.4. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებს არ გააჩნდათ კურსის გავლის წინაპირობები, ასევე შეფასების კომპონენტები არ იყო ჩაშლილი;

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა ვიზიტის პერიოდში გამოასწორა აღნიშნული უზუსტობები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან მიმართებით დასკვნაში შენიშვნები და ხარვეზები დაფიქსირებული არ იყო.

საბჭოს წევრმა, საბა სარიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა ტიპის თანამშრომლობას ითვალისწინებდა მემორანდუმი საქართველოს ბანკების

ასოციაციასთან, რადგან აღნიშნული დაწესებულება იყო არასამთავრობო ორგანიზაცია და უშუალო საბანკო ოპერაციებს არ ახორციელებდა.

დაწესებულების დირექტორის, ნოდარ ხარაზიშვილის განმარტებით, აღნიშნულ დაწესებულებაში სტუდენტები გადიოდნენ სასწავლო პრაქტიკას, ხოლო საწარმოო პრაქტიკა ხორციელდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციაში, გაფორმებული ჰქონდათ შესაბამისი მემორანდუმები.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა დასკვნაში არსებული შენიშვნების შინაარსით. რამდენად ტექნიკური ხარისხით იყო და რამდენად მოახერხა დაწესებულებამ მათი გასწორება ისე, რომ ეს არ ასახულიყო საგანმანათლებლო პროგრამებზე უარყოფითად.

ექსპერტმა თეა ლილუაშვილმა განმარტა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები ტექნიკური ხარისხით იყო, რომელიც სტანდარტის პირდაპირ დარღვევას არ წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნოდარ მეგრელიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას დაფიქსირდა ტექნიკური ხარისხის უზუსტობები, რაც ადგილზევე შესწორდა ისე, რომ არ მომხდარა სტანდარტის არც ერთი პუნქტის დარღვევა, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

საბჭოს წევრმა, მამია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ პროგრამებში არ იყო ასახული დაშვების წინაპირობა, რაც მექანიკურ შეცდომად ვერ ჩაითვლებოდა. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნოდარ მეგრელიშვილმა, განმარტა, რომ პროგრამები შედგენილი იყო კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან კანონმდებლობა არეგულირებდა ცალკეულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობას, იგი აღარ აისახა საგანმანათლებლო პროგრამებში, თუმცა, აღნიშნული გამოსწორდა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ.

საბჭოს წევრმა, მამია ჩიხლაძემ, განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტობის მსურველ კანდიდატთა მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, პროგრამის წინაპირობა ასახული უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო პროგრამებში. იგი ასევე დაინტერესდა, პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობით.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ბუღალტრის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დაამთავრა 18-მა პროფესიულმა სტუდენტმა, ხოლო ნაწილი სექტემბრის თვეში დაასრულებდა. პროგრამის დამატების შემთხვევაში კოლეჯს მიეცემოდა შესაძლებლობა მიეღო ბუღალტერთა მეოთხე საფეხურზე ოთხი ჯგუფი.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა, როდის მოხდა კოლეჯში ახალი თანამშრომლების მიღება და რა ტიპის ხელშეკრულებები გაფორმდა მათთან.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ კოლეჯმა მიიღო ახალი თანამშრომლები, რომელთანაც გაფორმდა სტანდარტული შრომითი ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადით.

საბჭოს წევრი ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, რატომ არ იყო პედაგოგებთან გაფორმებული უვადო შრომითი ხელშეკრულებები.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ იმ პედაგოგებთან, ვისაც დაგროვებული ჰქონდათ კანონის შესაბამისი შრომითი სტაჟი გაფორმებული იყო უვადო ხელშეკრულებები, ხოლო მათთან, ვისი აყვანაც ახლახანს მოხდა, ხელშეკრულება გაფორმებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის განცხორციელების ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება კონკრეტულ პარტნიორებთან გაწერს სამოქმედო გეგმას, რომლის საფუძველზეც მემორანდუმები იქნება გაფორმებული, ეს უფრო მეტ სიცხადეს შეიტანდა დაწესებულების საქმიანობაში.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა დაწესებულების მერხების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფართის მიხედვით შეეძლოთ მიეღოთ 900-950 პროფესიული სტუდენტი. მაგიდების რაოდენობა შეადგენდა 620-ს. გარდა ამისა, ლაბორატორიებში განთავსებული იყოს სასწავლო მაგიდები, რომელიც გამოყენებული იქნებოდა საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ ტოპოგრაფის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ ბულალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ მოლარის (ბანკის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 301 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	III	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ტოპოგრაფი	III	ტოპოგრაფის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	ბულალტერი	IV	ბულალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია /ბულალტერ - ტექნიკოსი	45
4	მოლარე (ბანკის და ა.შ.)	III	მოლარის (ბანკის და ა.შ.)მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60



2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა - თეა ლილუაშვილმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნა და ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ სტანდარტებზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო. ხარვეზი და შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული არც მატერიალურ და არც ადამიანურ რესურსებთან მიმართებით. მან ჩამოთვალა ობიექტები, რომელთანაც დაწესებულებას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით და დაამატა, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო „ლიბერთი ბანკი“, რომელმაც კოლეჯს, სწავლების განხორციელების მიზნით საჩუქრად გადასცა ბანკის ოპერატორის პროგრამა. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება რვა ახალ მასწავლებელთან კანონმდებლობის შესაბამისად.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ დაემატებინა ახალი პროგრამები სრულიად განსხვავებული მიმართულებებით და როგორ მოახერხებდა ხარისხის უზრუნველყოფას ამ კუთხით. მან ასევე იკითხა, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რომელ პრაქტიკის ობიექტთან ჰქონდა კოლეჯს გაფორმებული ხელშეკრულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ჩიხლაძის შეკითხვაზე განმარტა, რომ არსებული რესურსი იძლეოდა აღნიშნული პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდათ სს „ქობულეთის სამედიცინო ცენტრთან“, რომელიც სრულად შეესაბოდა თანამედრო სტანდარტებს.

საბჭოს წევრი მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, დაწესებულების პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსით. ექსპერტმა განმარტა, რომ პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამაზე ასწავლიდნენ ის ადამიანები, რომლებიც დასქმებული იყვნენ ზემოაღნიშნულ კლინიკაში.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა სტილისტის საგანმანათლებლო პროგრამით. კერძოდ, ამ პროგრამაზე არსებული ლიტერატურით და ასევე, რა გარემოებებით იყო განპირობებული აღნიშნული პროგრამის შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტილისტის საგანმანათლებლო პროგრამის დამატება კოლეჯმა გადაწყვიტა შრომით ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, ძირითადად, პედაგოგის მიერ იყო შედგენილი და აკინძული მასალების სახით იყო წარმოდგენილი.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა, გადიოდნენ თუ არა პროფესიული სტუდენტები პროგრამის განხორციელებისას შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით სტუდენტები გადიოდნენ შესაბამის ინსტრუქტაჟს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ სტილისტის/ქალი, მამაკაცი/ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია
1	სტილისტი /ქალი, მამაკაცი/	III	სტილისტ-პარიკმახერის /ქალი, მამაკაცი/ მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
2	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	III	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	ბანკის ოპერატორი	V	ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
4	პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
5	ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელი	III	ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკვთებელის	60

			მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
--	--	--	--	--



3. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხორციელდებოდა სწავლება, როგორც სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამებით, ასევე მიმდინარეობდა მოდულური პროგრამების პილოტირება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა მოდულური პროგრამები, რომლებიც შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში. მასში ჩართულმა მხარეებმა დეტალურად გაწერეს პროგრამა, შეფასების კომპონენტი და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მოდულური პროგრამების შესაბამისობა არსებულ სტანდარტებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოდულური პროგრამების პილოტირება მიმდინარეობდა ყველა სტანდარტის დაცვით, არსებობდა შეფასების გარე და შიდა მექანიზმები და გამოთქვა პირადი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დანერგვის შემთხვევაში დაწესებულებები მსგავსი პროგრამებით მუშაობისას წარმატებას მიაღწევდნენ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოდულური პროგრამებით მისანიჭებელ კვალიფიკაციებში იყო უზუსტობები, რადგან პროგრამების პილოტირება მიმდინარეობს ამჟამად, რომლის შედეგების მიხედვით დაზუსტდება სტანდარტები. კერძოდ,

1) მოდულური პროგრამების - მისანიჭებელი კვალიფიკაციების დასახელებაში დაშვებულია უზუსტობები. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული უზუსტობა შესწორებულ იქნა დირექტორის 2014 წლის 21 აგვისტოს №83 ბრძანების საფუძველზე.

2) მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მსურველი უნდა ფლობდეს საბაზო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ არის აღნიშნული, რომ მან ასევე უნდა გაიაროს პროფესიული ტესტირება, მაშინ როდესაც აღნიშნული პირობა დაწვრილებით არის გაწერილი საზოგადოებრივი კოლეჯის „აისის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის 2014 წლის 21 თებერვლის N7 ოქმის საფუძველზე დამტკიცებულ „შინაგანაწესის“, მე-3 თავში „კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“.

ამასთან დაკავშირებით შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2014 წლის 21 აგვისტოს №88 ბრძანების საფუძველზე მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი კოლეჯის შინაგანაწესის მოთხოვნებთან. ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსზე და აღნიშნა, რომ სტანდარტის ყველა პუნქტი დაკმაყოფილებული იყო და კოლეჯს გააჩნდა მრავალფეროვანი მატერიალური რესურსი, ლაბორატორიები და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა კითხვით მიმართა ექსპერტს მოდულურ პროგრამებთან დაკავშირებით, რამდენად დეტალურად იყო გაწერილი რესურსები, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ მოდულურ პროგრამებში დეტალურად იყო გაწერილი ის მინიმალური რესურსები, რაც პროგრამის განხორციელებისთვის იყო საჭირო და დაამატა, რომ ეს უფრო ამარტივებდა მუშაობას და დადებითად მოქმედებდა სწავლის ხარისხზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი არ საჭიროებდა პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გაზრდას, რადგან უკვე განსაზღვრულ 1200 ზღვრული ოდენობის ადგილიდან ამჟამად მხოლოდ 295 იყო შევსებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რომ მოდულური პროგრამების პოლოტიკების შედეგები დაეცნო საბჭოს წევრებისათვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა სრული მზაობა გამოთქვა.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა პროგრამის წინასწარი შეფასება, კერძოდ, არსებულ სტანდარტულ პროგრამებთან შედარებით რა უპირატესობები შეიძლება მინიჭებოდა მოდულურ პროგრამებს. დაწესებულების წარმომადგენელმა მამია ჯანჯალიას შეკითხვაზე განმარტა, რომ წინასწარი შეფასებით მოდულური პროგრამები უფრო მაღალ შედეგზე გადიოდა სწავლების ხარისხის ამალეების კუთხით. ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა პროგრამის როგორც გარე, ასევე შიდა მონიტორინგი და უფრო დეტალური შედეგი რამდენიმე კვირაში გახდებოდა ცნობილი.

საბჭოს წევრი, მათა ჩიხლაძე დაინტერესდა მოდულურ პროგრამებში რამდენად იყო პრაქტიკული და თეორიული კომპონენტი შერწყმული. შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ პრაქტიკული და თეორიული კომპონენტის წილი პროგრამაში პირდაპირ განსაზღვრული არ იყო. პრაქტიკა შერწყმული იყო თეორიასთან და საერთო ჯამში აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამები აწყობილი იყო იმგვარად, რომ ხდებოდა პრაქტიკული და თეორიული კომპონენტის ინტეგრირება.

დაწესებულებს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა პროგრამაში აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა შრომის უსაფრთხოების შესწავლა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, მარიკა შიოშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რის საფუძველზე მოხდა აღნიშნული მოდულური პროგრამების დამატება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულის დამატება მოხდა კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რამდენ პროცენტთან მაჩვენებელი იყო ფერმერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების კუთხით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა დაწესებულებას ჯერ არ ჰქონდა და პირველად ახორციელებდა. რაც შეეხება ზოგადად პროფესიული სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელს, იგი 59%-ს შეადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ აისისთვის მხატვარ-შემსრულებლის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ მხატვარ-შემსრულებლის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ მხატვარ-შემსრულებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ მევენახე-მელვინის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ ფერმერის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ მეხილის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს“ (ს/კ : 227770800) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	მხატვარ-შემსრულებელი	I	მხატვარ-შემსრულებლის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
2.	მხატვარ-შემსრულებელი	II	მხატვარ-შემსრულებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
3.	მხატვარ-შემსრულებელი	III	მხატვარ-შემსრულებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
4.	მემინანქრე	III	მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
5.	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	I	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	15
6.	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	II	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	15
7.	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	III	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	15
8.	მევენახე-მელვინე	III	მევენახე-მელვინის (ვენახისა და მარნის სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	87
9.	ფერმერი	IV	ფერმერის მეოთხე საფეხურის	93

			პროფესიული კვალიფიკაცია	
10.	მეხილე	III	მეხილის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	49
11.	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	IV	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	76
12.	ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი	III	ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	57

13:37 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
 სხდომა განახლდა 14:22 საათზე.



4. შპს ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან მიმართებით ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული და დაამატა, რომ კოლეჯს ჰქონდა ძალიან კარგი მატერიალური ბაზა აღჭურვილი მრავალფეროვანი ინვენტარით.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, მარიკა შიოშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კურდამთავრებულების დასაქმების პროცენტულ მაჩვენებლთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განამარტა, რომ კოლეჯი 2000 წლიდან ფუნქციონირებდა, ამიტომ ზუსტი ციფრის დასახელება სირთულეს წარმოადგენდა, მაგრამ ასევე დაამატა, რომ წარმატებული კურდამთავრებული დასაქმებული იყვნენ მცირედი გამონაკლისების გარდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კოლეჯში არსებული სტუდენტების რაოდენობით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განამარტა, რომ ამჟამად სტუდენტების რაოდენობა 80-ს შეადგენდა და კოლეჯს გააჩნდა 500 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა.

საბჭოს წევრი ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა მატერიალური რესურსის მდგომარეობით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯს გააჩნდა საკუთარი შენობა და შესაბამისი ინვენტარი, ასევე სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისთვის აუცილებელი ბაზები, ხოლო საწარმოო პრაქტიკა ხორციელდებოდა შესაბამის ორგანიზაციებში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეეძლო საკუთარ ბაზაზე სასწავლო პრაქტიკის განხორციელება.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა ხელშეკრულების ვადით, რაზეც ექსპერტმა განამარტა, რომ ხელშეკრულებები იყო სტანდარტული ფორმის და ყველა კანონის ნორმის დაცვით შედგენილი.

საბჭოს წევრი მათა ჩიხლაძე დაინტერესდა დაწესებულების ადამიანური რესურსით და შეკითხვით მიმართა მის წარმომადგენელს, 37 პროფესიული მასწავლებლის პირობაზე რამდენი სტუდენტის მიღებას შეეძლებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განამარტა, რომ სწავლების განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა ორ ცვლაში, რაც შესაძლებლობას იძლეოდა მიეღოთ 600 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა შეეცვალებათ კოლეჯის სახელწოდება და მოეყვანა კანონთან შესაბამისობაში, რადგან მას შეეძლო შეცდომაში შეეყვანა პროფესიული სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდა საბჭოს თავმჯდომარის რეკომენდაციას ორგანიზაციის სახელთან დაკავშირებით და მადლობა გადაუხადა კერძო კოლეჯების ასოციაციას თანამშრომლობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტს (ს/კ: 245409838) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

5. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა ეკა ლუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააზრებული ჰქონდა მისია, ჩამოყალიბებული იყო თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად შეაფასა. აქვე დაამატა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა სამივე სტანდარტი. შედეგად გამოვლინდა სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნები, რაც გასწორდა ვიზიტის მიმდინარეობისას. ნაწილი შენიშვნებისა ვიზიტის დროს არ გასწორებულა, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. ორივე საგანმანათლებლო პროგრამაში, სასწავლო კურსისთვის „ინგლისური ენა“ აღნიშნულია მხოლოდ „კომუნიკაციის უნარი“ და არ არის დაფიქსირებული „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“, მაშინ როდესაც პროფესიულ სტანდარტსა და პროფესიული კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში მითითებულია, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია „უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება“;

1.2. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ წარმოდგენილი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის გრაფაში მითითებული იყო ქართულენოვან ლიტერატურასთან ერთად უცხოენოვანი ლიტერატურა, ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, რომ ლოგიკური იქნებოდა უცხოენოვანი ლიტერატურა არა ძირითად არამედ დამატებით ლიტერატურად ყოფილიყო მითითებული, რადგან სწავლების ენად მითითებული იყო ქართული ენა. აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა დაწესებულებამ და ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა ბრძანება N11 (05.08.2014), რომლითაც შეიტანა ცვლილება სასწავლო კურსების სილაბუსებში.

1.3. ექსპერტების მიერ დაფიქსირდა, რომ წარმოდგენილ პროგრამებსა და სილაბუსებში პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ არსებობს ორი დამოუკიდებელი ჩანაწერი, რომელიც განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, კერძოდ, შეფასების შესახებ პირველი ჩანაწერის თანახმად: პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება მრავალკომპონენტური სისტემით. პროფესიული სტუდენტი კრედიტს ღებულობს მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დადებითი შეფასება არის ხუთი სახის:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
- უარყოფით შეფასება არის ორი სახის:
- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მეორე ჩანაწერის თანახმად: შეფასების კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი დააგროვებს დადგენილ ქულათა ნახევარზე მეტს.

განხილული ორი ჩანაწერის შესაბამისად ერთის მხრივ პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას 51 ქულის მიღების შემთხვევაში კრედიტი ათვისებულად ჩათვალოს, ხოლო მეორეს მხრივ მას შეიძლება საბოლოო შეფასებით მოუგროვდეს 51 ქულა თუმცა კრედიტი ათვისებულად არ იქნას ჩათვლილი მინიმალური კომპეტენციის ვერ გადალახვის გამო.

ასე მაგალითად: პროფესიული სტუდენტი, რომელიც 31 ქულით გავა დასკვნით გამოცდაზე და მიიღებს 40 ქულიდან 20 ქულას, მიუხედავად 51 ქულის მოგროვებისა მას არ ეთვლება კრედიტი ათვისებულად, რადგან მან ვერ გადალახა 40 ქულიდან 21 ქულიანი ბარიერი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ არსებული ორი ჩანაწერი უნდა იყოს ერთმანეთის თანმიმდევრული და უზრუნველყოფდეს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ცხადად და გამჭვირვალედ. განხილული ექსპერტთა მოსაზრება დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა ვიზიტის დროს.

1.4. ექსპერტებმა წარმოდგენილი პროგრამებისა და სასწავლო კურსების შესწავლის შედეგად დააფიქსირეს, რომ შეფასების მეთოდები თითოეული სასწავლო კურსისათვის არის მრავალკომპონენტური, გააზრებული და გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი და მისი სწავლების სპეციფიკა, თუმცა ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სასურველია თითოეული შეფასების კომპონენტისათვის მინიჭებული ქულათა ჩაშლა უფრო კონკრეტული იყოს.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს გრძელვადიანი (5 წელი და 11.5 თვე) და 11.5 თვიანი სტრატეგიული გეგმები. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ განხორციელდა ცვლილება ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციაში და სტრატეგიული გეგმები მოიცავს 6 წლიან და ერთ წლიან პერიოდებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არის დეკლარაციული ხასიათის, კერძოდ ასახულია მხოლოდ სტრატეგიული მიზანი და მისი შესრულების პერიოდი, წლების მითითებით. სტრატეგიულ დოკუმენტებში არ არის საუბარი, იმაზე, თუ რა კონკრეტული შედეგის მიღწევას ემსახურება ესა თუ ის მიზანი, არ არიან განსაზღვრული დასახული მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. კონკრეტულად ვერ დგინდება მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები.

3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

3.1. ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის მსგავსად, პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები არ არის შესაბამისი წესით დამოწმებული.

3.2. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ ისეთი არსებითი პირობა, როგორცაა „სამუშაო ადგილი“ არცერთ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს და საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეფასების დროს მინიმალური ზღვარის დადგენა გამოწვეული იყო იმ მოსაზრებიდან, რომ ყველა სტუდენტს გადაეღება მინიმალური ზღვარი.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ შეფასების ნაწილის დაკონკრეტება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მეტი სიცხადისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტმა შეფასების ყველა კომპონენტში აუცილებელია გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. პროფესიული სტუდენტი, რომელიც 31 ქულით გავა დასკვნით გამოცდაზე და მიიღებს 40 ქულიდან 20 ქულას, მიუხედავად 51 ქულის მოგროვებისა მას არ ეთვლება კრედიტი ათვისებულად, რადგან მან ვერ გადალახა 40 ქულიდან 21 ქულიანი ბარიერი.

ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა დააზუსტა, რომ პროფესიულ სასწავლებლებს აქვთ უფლება დააწესონ მინიმალური ზღვარი შეფასების ყველა კომპონენტში, განსხვავებით უმაღლესი სასწავლებლებისაგან. აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანებას. ექსპერტმა შენიშვნა ამ შემთხვევაში მდგომარეობდა იმაში, რომ კარგი იქნებოდა დაწესებულებას ცხადად და თანმიმდევრულად ჩამოეყალიბებინა შეფასების წესი, რომ არ ყოფილიყო ინტერპრეტირების საშუალება. ეს მოსახერხებელი იქნებოდა პროფესიული სტუდენტებისთვისაც. მათ ეცოდინებოდათ, რომ თუ შეფასების თითოეულ კომპონენტში ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი, კრედიტი ათვისებულად არ ჩაეთვლება 51 ქულის მოგროვების შემთხვევაშიც.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა გასწორდა თუ არა აღნიშნული ვიზიტის პერიოდში. ეკა ლუაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული იქვე ვერ გასწორდებოდა, რადგანაც უფრო მასშტაბური და სისტემური ხასიათის იყო. ეკა ლუაშვილმა აქვე დაამატა, რომ დაწესებულებამ მიიღო შენიშვნა და გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული გათვალისწინებული იქნებოდა.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, ინტერვიუების შემდეგ რამდენად შეეძლო ექსპერტს დადასტურება იმისა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს გააზრებული ჰქონდათ სტრატეგიული განვითარების გეგმა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას სავსებით გააზრებული ჰქონდა სტრატეგიული განვითარების მიზნები, მაგრამ აქვე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ასევე დეტალურად ყოფილიყო განმარტებული ნარატივის სახით. რაც შეეხება ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ ნაწილს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამუშაო ადგილის მითითება ხელშეკრულების განუყოფელ, არსებით პირობას წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიულ პროგრამებში ყველგან დაკონკრეტებულია სამუშაო ადგილი, სადაც ხორციელდება აღნიშნული პროგრამა. მათი გაცნობა პერსონალის მხრიდან დასტურდება ხელმოწერით და შეთანხმებულია საზღვაო სატრანსპორტო კომპანიასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას აპირებდა დაწესებულება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგნოზის გაკეთება სირთულესთან იყო დაკავშირებული. ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით დაწესებულება შეძლებდა 140 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

საბჭოს წევრმა, ირაკლი პეტრიაშვილმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ დაწესებულება და ექსპერტთა ჯგუფი თანამშრომლობაზე იყვნენ ორიენტირებულები და კითხვით მიმართა ექსპერტს, რამდენად იცნობდნენ თანამშრომლები დაწესებულების შინაგანაწესს.

ექსპერტმა განმარტა, რომ ყველა თანამშრომელი იცნობდა შინაგანაწესს, რაც დასტურდებოდა ხელმოწერით და მსგავსი პრაქტიკა დაწესებულებაში დანერგილი იყო ყველა დოკუმენტის მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს (ს/კ: 245624819) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

6. შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის შენიშვნები, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის მრავალკომპონენტური, ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, თუმცა სილაბუსების ნაწილში შეფასების ყველა კომპონენტი არ არის ჩაშლილი და დაწვრილებით გაწერილი.

1.2. ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლათინური ენის“ სილაბუსში შეფასების ერთერთი კომპონენტისთვის (დამოუკიდებელი სამუშაო/ტერმინების თარგამანი) გამოიყენება ქულათა რანჟირება, სადაც ქულათა ქვედა ზღვარი 0-ის ნაცვლად 1-ს შეადგენს, შედეგად პროფესიული სტუდენტის ნებისმიერ შემთხვევაში, გარანტირებულად 1 ქულას იღებს. აღნიშნული უზუსტობა შესწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის დროს დირექტორის 2014 წლის 8 აგვისტოს №6 ბრძანების საფუძველზე.

1.3. სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული ამა თუ იმ თემების გადანაწილება კვირების მიხედვით, თუმცა სასწავლო კურსების გადანაწილება კვირების მიხედვით წარმოდგენილია პროგრამებში ცხრილის სახით. პროფესიული სტუდენტების სრული ინფორმირებულობის მიზნით სასურველია, რომ დაწვრილებითი ინფორმაცია თემების გადანაწილების შესახებ კვირების მიხედვით წარმოდგენილი იყოს შესაბამის სილაბუსებშიც.

1.4. პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია წარმოდგენილია პროგრამების შესაბამის ნაწილში, თუმცა ექსპერტების აზრით, იმ სილაბუსებში, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების განხორციელებას სასურველია წარმოდგენილი იყოს დეტალური ინფორმაცია კონკრეტული სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ, კერძოდ, პრაქტიკული მეცადინეობების/ლაბორატორიის განხორციელების ადგილის დასახელება (სახელოსნო, კომპიუტერული კლასი, კაბინეტი, ლაბორატორია, და ა.შ.); ასევე საჭირო ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, ხელსაწყო-იარაღების, მასალების, თვალსაჩინოების, კომპიუტერული ტექნიკის და ა.შ. ჩამონათვალი და რაოდენობა.

1.5. შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის დებულების გადამოწმებისას ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი სახის უზუსტობა: შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის „დებულების მესამე ნაწილის პირველ მუხლის მიხედვით დაწესებულების სტრუქტურის

ერთერთ ერთეულს წარმოადგენს „დამფუძნებელთა კრება“, ხოლო იგივე მუხლის შემდგომ აბზაცებში გამოიყენება ტერმინი „პარტნიორთა კრება“.

1.6. დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 09 ივნისის № 21/კ ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის“ დებულების მე-5 ნაწილის, მე-2 მუხლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება „სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებით აირჩიოს და არჩეულ იქნას სტუდენტთა თვითმართველობაში“, თუმცა „სტუდენტთა თვითმართველობა“ როგორც დაწესებულების ერთერთი სტრუქტურული ერთეული არცერთ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში არ ფიგურირებს, მათ შორის სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულების ნაწილში, რომელიც შეეხება „მხარეთა უფლება-მოვალეობებს“;

1.7. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში, ერთის გამონაკლისით (შპს „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრი“), არ არის მითითებული რომელი სპეციალობის პროფესიული სტუდენტის პრაქტიკაზე მიღების ვალდებულებას იღებს ორგანიზაცია;

1.8. საქმისწარმოების წესების შესახებ არსებული დოკუმენტის VI თავის 6.4 პუნქტის თანახმად მმართველობითი დოკუმენტი (ბრძანებები, განკარგულება) უნდა გაფორმდეს ბლანკზე, რომელზეც მოცემული იქნება სასწავლებლის რეკვიზიტები. ეს წესი დაცული არ იყო გამოცემულ ბრძანებებთან მიმართებაში (დანართი 3, 9, 10), რაც გასწორდა ვიზიტის პერიოდში დირექტორის ბრძანებით - ვიზიტის დროს გამოცემული ბრძანებები დაიბეჭდა აღნიშნული წესის შესაბამისად;

1.9. ამავე დოკუმენტის IV თავის 4.4 პუნქტის თანახმად ბრძანების ტექსტში უნდა აღინიშნოს პირი, რომელსაც ევალება შესრულებაზე კონტროლი. ეს წესი დაცული არ იყო გამოცემულ ბრძანებებთან მიმართებაში.

1.10. პირველიდან მეორე სართულზე ამავე კიბეებზე ვიზიტის პერიოდში დამონტაჟებული არ იყო პანდუსი, რაც შეუძლებელს გახდიდა ეტლით მოსარგებლე სტუდენტისათვის მეორე სართულზე მოხვედრას და იქ არსებული რესურსებით სარგებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა ე.წ. მოძრავი, ხის პანდუსები და განმარტა, რომ სსსმ სტუდენტის მიღების შემთხვევაში მოხდება მათი დამონტაჟება;

1.11. საიტზე არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შინაარსი არ შეესაბამება დაწესებულებაში რეალურად არსებულ და დამტკიცებულ დოკუმენტებს.

1.12. შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესის მეოთხე ნაწილის, დ) პუნქტის თანახმად პროფესიული მასწავლებლის თანამდებობის დაკავების მსურველმა უნდა წარადგინოს - „პრაქტიკულად მუშაობის, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი“. დოკუმენტი პირად საქმეებში არ არის წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მოთხოვნა „პრაქტიკულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ ეხებოდა მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც არ გააჩნდათ შესაბამისი კვალიფიკაცია და „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნდა გააჩნდეთ „შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება“. აღნიშნული უზუსტობა გამოსწორდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2014 წლის 8 აგვისტოს №6 ბრძანების საფუძველზე.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული უზუსტობები არ წარმოადგენდა სტანდარტის პირდაპირ დარღვევას და მათი უმრავლესობა გასწორდა ვიზიტის პერიოდში. აქვე დაამატა, რომ ექსპერტთა მოვალეობაა ასახონ ვიზიტის დროს არსებული ფაქტობრივი გარემოებები.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა გაჩენილიყო სტანდარტში პუნქტი, რომელიც ექსპერტს მსგავსი რეკომენდაციების გაკეთების უფლებას მისცემდა, რადგან შენიშვნების სიმრავლემ შესაძლებელია საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, მაშინ, როდესაც სტანდარტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულთან დაკავშირებით შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია მარტივი დეტალებიც დაფიქსირდეს დასკვნაში. ამით დაწესებულებებს ეძლევათ საშუალება გაითვალისწინონ ერთმანეთის გამოცდილება და გააუმჯობესონ საქმიანობა. ასევე დაამატა, რომ არსებობს პრაქტიკული მაგალითები იმისა, რომ დაწესებულებები ითვალისწინებენ მსგავს რეკომენდაციებს, რაც პირდაპირ მოქმედებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ჯაყელი დაინტერესდა, არსებული რეკომენდაციები რამდენად ახდენდა გავლენას სწავლების ხარისხზე და პროგრამის სრულფასოვან განხორციელებაზე. ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ რადგან ვიზიტის დროს შემოწმებული პროგრამებით ჯერ სწავლება არ დაწყებულა, შესაბამისად არსებული შენიშვნები სწავლების ხარისხზე გავლენას ვერ მოახდენდა, თუმცა სასურველი იქნებოდა ყოველივე დაწესებულებას სამომავლოდ გაეთვალისწინებინა.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები იყო თუ არა კანონმდებლობის შესაბამისი, რაზეც შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია წერიგში იყო. დაფიქსირდა მხოლოდ ერთი ფაქტი - ერთ-ერთ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული რომელი სპეციალობის პროფესიული სტუდენტის პრაქტიკაზე მიღების ვალდებულებას იღებდა ორგანიზაცია, რაც გასწორდა დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსგავსი დეტალური დასკვნა დაწესებულებას აძლევდა საშუალებას გაეუმჯობესებინა საქმიანობა სამომავლოდ და რომ ესენი იყო რეკომენდაციები და არა არსებითი შენიშვნები. მან ასევე დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ დაწესებულებას არ შეუცვლია პროფილი და ერთი მიმართულებით აგრძელებდა მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯს მრავალწლიანი ისტორია ჰქონდა და მხოლოდ სამედიცინო პროფილით ფუნქციონირებდა წლების განმავლობაში. მან აქვე დაამატა, რომ სწავლის საფასურიც სხვა დაწესებულებებთან შედარებით იყო იაფი. ამჟამად დაწესებულებას 31 პედაგოგი ჰყავდა და შეემლო 200-ზე მეტი პროფესიულ სტუდენტზე მეტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 275-ით.

საბჭოს წევრმა, მარიკა შიოშვილმა გამოთვა მოსაზრება, რომ დასკვნას დაემატოს რეკომენდაციების ნაწილი, სადაც ექსპერტის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტის შენიშვნები იქნებოდა დაფიქსირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 275-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელს (ს/კ: 212703546) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 275-ით.

7. შპს „ილია“-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

დასკვნა წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა რომ დასკვნა დადებითი იყო, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას საჯარო რეესტრში ჩაბარებული ჰქონდა განცხადება ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტაზე, ამ ეტაპისათვის ქვეიჯარა უკვე გაუქმებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ჯაყელი დაინტერესდა რამდენი ახალი ჯგუფის მიღება შეეძლო დაწესებულებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 4 ახალი ჯგუფის შევსებას შეძლებდა, გამომდინარე იქედან, რომ არსებული პროგრამები მიღვეად რეჟიმში ხორცილდებოდა და რაიონში მხოლოდ აღნიშნული კოლეჯი ფუნქციონირებდა. მან აქვე დაამატა, რომ კოლეჯი მე-14 წელია ფუნქციონირებდა და მიმართულება არ შეუცვლია. წარმომადგენლის განმარტებით ყველაზე დიდი რაოდენობის პროფესიული სტუდენტი დაწესებულებაში დაფიქსირდა 80-100-ის ფარგლებში. აქედან რამოდენიმე სოციალურად დაუცველმა სტუდენტმა უსახსრობის გამო ვერ შეძლო კურსის დასრულება.

საბჭოს წევრი, ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა რა იყო დაწესებულებაში მაქსიმალური ხელფასის ოდენობა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა 250 ლარს შეადგენდა. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულებამ შეიცვალა შენობა, შეაკეთა და მოაწყო შესაბამისი მატერიალური რესურსებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამები შეიქმნა მას შემდეგ, რაც მოხდა ბაზრის შესწავლა. ამჟამად დაწესებულება შეძლებდა 140 პროფესიული სტუდენტის მიღებას მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რამდენჯერ აცხადებდა დაწესებულება წელიწადში მიღებას, რაზეც კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროფესიულ სტუდენტთა მიღება ხდებოდა ორჯერ, თუმცა ჯგუფის შევსების შემთხვევაში შესაძლებელი იყო მიღება გამოცხადებულიყო უფრო მეტჯერაც.

საბჭოს წევრმა, საბა სარიშვილმა რეკომენდაცია მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს, მოეძებნათ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, რაც ხელს შეუწყობდა მათი საქმიანობის მეტად გაუმჯობესებას.

საბჭოს წევრმა, ირაკლი პეტრიაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ უკეთ შეესწავლათ შრომითი ბაზარი, შესთავაზონ პროფესიულ სტუდენტებს მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და რაიონის საჭიროებებს მორგონ საკუთარი საქმიანობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ მათი პროფესიული სტუდენტები აქტიურად საქმდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „ილია“ -ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს „ილია“-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებას (ს/კ: 238134425) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

8. შპს „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა ექსპერტთა დასკვნა წარადგინა მაყვალა დარსანიამ. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან მიმართებით სტანდარტის დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯს გააჩნდა კარგი მატერიალური ბაზა, მოწესრიგებული სველი წერტილები და ადაპტირებული გარემო. მან ასევე დაამატა, რომ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს - ჯეოპოსპიტალთან, სადაც ხდებოდა კურსდამთვრებულების დასაქმება, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება შეძლებდა მიეღო 160 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს წერმა, ირაკლი პეტრიაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, იფიქრონ პროგრამების დამატებაზე და საქმიანობის გაფართოებაზე. საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდა საბჭოს რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“-ის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“-ს (ს/კ: 227771952) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

9. შპს ბულალტერთა მომზადების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა - მაია დანელიამ. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან მიმართებით სტანდარტის დარღვევებს ადგლი არ ჰქონია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორანდუმი გაფორმებული იყო 9 ორგანიზაციასთან და თავად პროფესიულ სტუდენტს შეეძლო აერჩია რომელ დაწესებულებაში გაივლიდა პრაქტიკას.

საბჭოს წევრი მაია ჯანჯალია დაინტერესდა, ახორციელებდა თუ არა აქამდე დაწესებულება სწავლებას ავტორიზებულ რეჟიმში, როგორც პროფესიული სასწავლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქამდე ცენტრი ფუნქციონირებდა როგორც სახელობო სასწავლებელი. მისი თქმით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 50-70%-ს შეადგენდა. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა, როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი კურსები. აქვე დაამატა, რომ ერთ მიღებაზე ხდებოდა დაახლოებით 50 პროფესიული სტუდენტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 70-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბულალტერთა მომზადების ცენტრის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბუღალტერთა მომზადების ცენტრს (ს/კ: 202249931) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70-ით.



10. ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ეკა ლუაშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო. ვიზიტის დროს დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც გასწორდა დაწესებულების მიერ იმავე პერიოდში. მან ასევე განაცხადა, რომ დაწესებულებას ნათარგმნი ჰქონდა გერმანულენოვანი ლიტერატურა, რაშიც თვითონ აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა და იმედი გამოთქვა, რომ ამ მასალის პოპულარიზაცია მოხდებოდა, რადგან პროფესიულ სტუდენტებს ბევრ რამეში დაეხმარებოდათ. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამები განსხვავდებოდა სხვებისგან, იყო დეტალურად გაწერილი, გააზრებული, რაც აღფრთოვანებას იწვევდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა იკითხა, ჰქონდათ თუ არა რაიმე შენიშვნები დაწესებულების მიმართ, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ შენიშვნები არ დაფიქსირდა.

საბჭო წევრი, მამია ჯანჯალია ინფრასტრუქტურით დაინტერესდა, რაზეც ეკა ლუაშვილმა აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსიც აკმაყოფილებდა სტანდარტს, თუმცა შენობაში მიმდინარე კოსმეტიკური რემონტის გამო, ინვენტარი განთავსებული არ იყო. დასკვნასთან ერთად, ექსპერტებმა დისკიც წარმოადგინეს, სადაც ფოტოებით ჩანდა აუდიტორიების ვიზუალური მხარე.

მამია ჯანჯალიამ იკითხა, რამდენ მასაქსიტს ამზადებდნენ და სად იყვნენ დასაქმებული კოლეჯის სტუდენტები, დაინტერესდა პროგრამის წინაპირობით და სწავლების საფასურით.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული პროგრამა წინა წელს დაამატეს, როდესაც არ ჰქონდათ საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი, შესაბამისად, კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავდათ. მან აღნიშნა, რომ გამორჩეულ სტუდენტებს გერმანიაში ამზადებდნენ. დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მოთხოვნა იყო 18 წლის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი და დაამატა, რომ მოთხოვნა დიდი იყო ამ პროგრამის მიმართ. სწავლის საფასურთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ღირებულება შეადგენდა 1500 ლარს. აღნიშნული იყო ერთი პროგრამის საფასური, ხოლო მასაქსიტის - 1800 ლარი. თავდაპირველად, გერმანელები ჩამოდიოდნენ უსასყიდლოდ. დაწესებულებამ ვერ მოიძია ავადმყოფის მომვლელები და ამის გამო მოიძიეს კადრები. მან აღნიშნა, რომ რთული საქმიანობა იყო და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, რაც ბევრისთვის იყო ძნელი ასატანი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 50-ით.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მფლობელობაში იყო 90 სკამი და 12 დიდი მაგიდა, რომელთაგან თითოეული 6-7 ადამიანს იტევს. დაწესებულების წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნების ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნებას (ს/კ: 200009613) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

11. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალეების ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შორენა ჯაფარიძემ წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონდათ საშუალება, ცენტრშივე დასაქმებულიყვნენ. ექსპერტების შეფასებით, დაფიქსირდა გარკვეული ტექნიკური უზუსტობები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 წარმოდგენილ პროგრამის დაშვების წინაპირობაში მითითებულია, რომ „პროგრამაზე დასაშვებად მინიმალური მოთხოვნაა არასრული და სრული საბაზო განათლება“, რაც შეუსაბამობაშია პროფესიული განათლების შესახებ კანონის მე-7 მუხლთან, რომლიც თანახმად „პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის საფუძველზე“. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულ სხვა დოკუმენტებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი ჩამოყალიბებულია არსებულ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. კერძოდ დირექტორის 2012 წლის 24 დეკემბრის №013 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალეების ცენტრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესისა და პროცედურების“ მე-2 მუხლით დადგენილია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, რომლის შესაბამისად „პირს, ზოგადი განათლების საბაზო/საშუალო საფეხურის დამლევის საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება, რათა შეიძინოს ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობისათვის.“ ასევე სწორად არის ფორმულირებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ვებგვერდზე განთავსებულ კატალოგში. აღნიშნული უზუსტობა შესწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2014 წლის 28 ივლისის №012 ბრძანების საფუძველზე.

1.2. სილაბუსებში წარმოდგენილი მიზანი შესაბამისობაშია ექთნის თანაშემწის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერთან და პროფესიული პროგრამის მიზანთან. მაშინ როდესაც შედეგების სახით წარმოდგენილია პროგრამიდან კოპირებული ზოგადი ხასიათის „პროგრამის სწავლის შედეგები“, რომლებშიც არ არის მკაფიოდ ასახული კონკრეტული სასწავლო კურსის შედეგი. ექსპერტებების მიერ სილაბუსებში წარმოდგენილი თემების შინაარსის შესწავლამ და მისი მიზანთან შესაბამისობის დადგენამ გამოავლინა, რომ სილაბუსების თემატიკა უზრუნველყოფს მიზანის მიღწევას. ექსპერტების აზრით, საქმე გვაქვს შედეგების ფორმულირებაში დაშვებულ ტექნიკურ უზუსტობასთან. ასევე აღნიშნული მოსაზრება გამყარდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ძველი ვერსიის

გადათვალერების შედეგად, სადაც სილაბუსებში მოცემული მიზნები და შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. ზემოაღნიშნული გამოსწორებულ იქნა დაწესებულების ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორის მიერ გამოცემულ 2014 წლის 28 ივლისის №012 ბრძანების საფუძველზე.

1.3. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ სილაბუსების შესაბამისად სტუდენტთა შეფასებისთვის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება (ტესტი, ზეპირი გამოკითხვა, სიტუაციური ამოცანები, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება და სხვა), თუმცა შეფასების კრიტერიუმები არ არის დაწვრილებით გაწერილი და ჩაშლილი. სტუდენტთა შეფასების სისტემის დადასტურების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა სხვადასხვა სახის ტესტები, წერიითი გამოცდის ბილეთები.

1.4. ექსპერტებმა ასევე დააფიქსირეს შემდეგი ტექნიკური უზუსტობები:

- პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამა მოიცავს „სასწავლო კომპონენტს და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას“, მაშინ როდესაც უნდა უნდა იყოს „თეორიული კომპონენტი და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა“;

- პროგრამაში კვალიფიკაციის დასახელება შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ექთნის თანაშემწე მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“, მაშინ როდესაც შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილია შემდეგი: „ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“

1.5 ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ „ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალეების ცენტრის“ სტუდენტთა შინაგანაწესის“ მე-8 მუხლით განსაზღვრულია, რომ „პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში არ გამოცხადებულა ლექციებზე, არ შეუტყობინებია გაცდენის მიზეზი და ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს განცხადებით, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი და ამოირიცხება სტუდენტთა სახელობითი სიიდან, ხოლო დოკუმენტში „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესების“ მესამე პუნქტში მითითებულია 20 დღე. აღნიშნული უზუსტობა შესწორებულ იქნა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2014 წლის 28 ივლისის №012 ბრძანების საფუძველზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მასწავლებლის პირადი საქმე ვერ მოიძებნა, რის გამოც, დაწესებულებას ადგილზე უნდა წარმოედგინა. ხელშეკრულებებში არ იყო განსაზღვრული სამუშაო ადგილი და ანაზღაურების წესი.

საბჭოს წევრი, ნიკოლოზ ჩაჩხიანი დაინტერესდა, 25 კვ. მ. ფართში როგორ ეტეოდა 10 სტუდენტი, საწოლი და კომპიუტერი. ექსპერტმა განმარტა, რომ განლაგება იძლეოდა ამის საშუალებას. მან აღნიშნა, რომ პირველ სართულზეც ჰქონდათ ფართი, სადაც 2 ოთახი იყო განლაგებული უცხოელი სტუმრებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, მისი გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა. შორენა ჯაფარიძემ დაამატა, რომ სტუდენტები რეალურ პრაქტიკას გადიოდნენ ობიექტზე და მათ უწევდათ უმძიმესი პაციენტების მოვლა.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ იკითხა, რას გულისხმობდა ჩანაწერი დასკვნიდან 15-დღიანი გაცდენის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 15-დღიანი გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი ვეღარ მოახერხებდა გაცდენილი მასალის ანაზღაურებას და, შესაბამისად, გაირიცხებოდა კოლეჯიდან.

საბჭოს წევრმა, ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ უმიზეზოდ გაცდენილი 1 კვირაც შეიძლებოდა ყოფილიყო გარიცხვის საფუძველი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 20-ით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 15-ს, შრომის ანაზღაურებაც არ არსებობდა და დაწესებულება, ფაქტობრივად, ქველმოქმედებას ეწეოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალეების ცენტრის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 20-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალეების ცენტრს (ს/კ: 204556284) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 20-ით.

12. შპს ირაკლი ფაღვას სახელობის აკადემია დასტაქარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა. მან წაიკითხა ის არსებითი გარემოებები, რაც დასკვნაში იყო დაფიქსირებული.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. ვიზიტის პირველ დღეს ყველა სილაბუსში შეფასების ნაწილში ფიგურირებდა შემდეგი ჩანაწერი (ასეთივე ჩანაწერი ფიგურირებდა „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში“): „პროფესიული სტუდენტის საბოლოო მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. საბოლოო შეფასება არის შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის დადებითი შეფასების ჯამი. შუალედური შეფასება - მაქსიმუმ 60 ქულა. დასკვნითი გამოცდის შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება - მინიმუმ 21 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებით უგროვდება მინიმუმ 30 ქულა.“ უკანასკნელი ჩანაწერი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის (40 ქულა) გათვალისწინებით უზღუდავს პროფესიულ სტუდენტს მინიმალური დადებითი შეფასების (E საკმარისი - მაქსიმალური შეფასება 51-60%) მიღების შესაძლებლობას, თუმცა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული ხარვეზი ჩასწორდა აბსოლუტურად ყველა სილაბუსში და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 27.)“. შესაბამისი ცვლილებები სილაბუსებში და მარეგულირებელ დოკუმენტში შეტანილია დაწესებულებაში არსებული რეგულაციის თანახმად და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

1.2 რიგ სილაბუსებში დასახვეწი იყო გარკვეული სახის ინფორმაციები: (მაგ: სამკურნალო საშუალებები და მათი მოქმედება პაციენტზე, სხვადასხვა კატეგორიის ასაკის პაციენტის მოვლა, სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა („ფარმაცევტის თანაშემწე“ – V საფეხური) და სხვ.) სასურველია შეივსოს ფორმაში არსებული გრაფა „სასწავლო რესურსი“, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა განსაკუთრებით პრაქტიკული შინაარსის კურსებისათვის.

1.3 ასევე რიგი პრაქტიკული შინაარსის საგნების სილაბუსებში (მაგ: პირველადი სამედიცინო დახმარება, ადამიანის ნორ. ანატომია ფიზიოლოგიით - „ექთნის თანაშემწე“ III საფეხური, კბილის სატექნიკო ლაბორატორია - „კბილის ტექნიკოსი“ III საფეხური და სხვ.) გრაფაში „სასწავლო რესურსი“ აღნიშნულია - თვალსაჩინოება. უნდა დაკონკრეტდეს რა სახის სასწავლო რესურსი (თვალსაჩინოება) გააჩნია სასწავლებელს კონკრეტული საგნის პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად (მაგალითად, ადამიანის ნორმალური ანატომია

ფიზიოლოგიით, წამლის დამზადების საწარმოო ტექნოლოგია, ფარმაცოგნოზია - „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი“ – III საფეხური).

1.4 ვიზიტის პირველ დღეს, კურსის სილაბუსებში - „ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიით“ (საგანმანათლებლო პროგრამა „ექთნის თანაშემწე“ – III საფეხური) და „პირის ღრუსა და კბილთა მწკრივების ანატომია-ფიზიოლოგია“ („კბილის ტექნიკოსი“ – III საფეხური) - ძირითად ლიტერატურაში გაწერილი იყო მხოლოდ ანატომიის სახელმძღვანელო და არ იყო მითითებული ფიზიოლოგიის არც ერთი სახელმძღვანელო, რაც თავისთავად ვერ უზრუნველყოფს მოსალოდნელი შედეგის მიღწევას, თუმცა ვიზიტის მსვლელობისას აღნიშნული ხარვეზი ჩასწორდა და წარმოდგენილი იქნა სათანადადო გაფორმებული დოკუმენტაციით;

1.5 კურსების სილაბუსებში - „ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიით“ და „პალიათიური მოვლა“ („ექთნის თანაშემწე“ – III საფეხური) – მე-6 კვირაში გათვალისწინებულია რეფერატის მომზადება – თუმცა სწავლის ეს მეთოდი არ არის მითითებული ჩამონათვალში და არ ჩანს როგორ ხდება ამ აქტივობის შეფასება და როდის, შესაბამისად, სწავლის შედეგების უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის სასურველია დაზუსტდეს ჩანაწერი;

1.6 სილაბუსში „ავადმყოფის მოვლა“ – სწავლის მეთოდებში გაწერილია სიტუაციური ამოცანების განხილვა, რაც ასევე არ არის ასახული პრაქტიკული მეცადინეობების გაწერაში. სასურველია დაზუსტდეს ჩანაწერი.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1. სასწავლებლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, თუმცა ვიზიტის მომენტში ვერ დადასტურდა ერთი პედაგოგის კვალიფიკაციის შესაბამისობა შეთავაზებულ კურსთან (წამალთა დამზადების საქარხნო ტექნოლოგია - „ფარმაცევტის თანაშემწის მე-5 საფეხური“ და „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მე-3 საფეხური“ - ქეთევან შალაშვილი -). ვიზიტის მომენტში აღნიშნული ხარვეზი გასწორდა, არსებულ პედაგოგს შეუწყდა ხელშეკრულება და მის ნაცვლად კურსის პედაგოგად აყვანილ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის პიროვნება, რომელიც ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელია (ლალი კინჭურაშვილი). აღნიშნული ცვლილება გაფორმებულია დაწესებულებაში არსებული წესის შესაბამისად.

აღნიშნულთან დაკავშირებით ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებების უმრავლესობა გასწორდა ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს წევრი, ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა რამდენი პროფესიული სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამჟამად 34 სტუდენტი სწავლობდა კოლეჯში და აღნიშნა, რომ მაქსიმუმი რაოდენობა, რისი მიღებაც კოლეჯს შეეძლო 170-ს შეადგენდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. დაწესებულების იურისტმა, ალინა კუპრავამ დაამატა, რომ პროგრამებში და სილაბუსებში არსებული უზუსტობები გასწორდა ექსპერტების რეკომენდაციებისამებრ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ირაკლი ფაღვას სახელობის აკადემია დასტაქარის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 20-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ირაკლი ფალავას სახელობის აკადემია დასტაქარს (ს/კ: 204567628) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (საზოგადოებრივი კოლეჯი) სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით.

13. შპს არგოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ლევან მადათოვმა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა მაყვალა დარსანიამ. მათ აღნიშნეს რომ დაფიქსირებული იყო შენიშვნები.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

შპს „არგოს“ მიერ წარმოდგენილი III საფეხურის მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ (2014 წლის 01.07. ბრძანება №17/თ), იგივე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სხვა შინაარსითა და სხვა ბრძანებით დამტკიცებული (ბრძ. №13. 14. 06.2011) განთავსებულია შპს „არგოს“ ვებ-გვერდზე. პროფესიული პროგრამა შედგენილია სარეკომენდაციო ფორმის შესაბამისად და მოიცავს ამ ფორმით განსაზღვრულ ყველა პუნქტს, პროგრამას ასევე ახლავს სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი საკმაოდ ვრცელია და ვერ აკონკრეტებს მესამე საფეხურით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მოცულობა შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობასთან. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები არ შეესაბამება მასაჟისტის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგებს. არასწორადაა მითითებული დაშვების წინაპირობა. პროგრამა ითვალისწინებს მეთოდების ჩამონათვალს, პროგრამის ფორმატით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია სწორად არის ფორმულირებული. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად.

1.3. შპს „არგოს“ მიერ წარმოდგენილი III საფეხურის ექთნის თანამშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ (2014 წლის 01.07. ბრძანება №17/თ), პროფესიული პროგრამა შედგენილია სარეკომენდაციო ფორმის შესაბამისად და მოიცავს ამ ფორმით განსაზღვრულ ყველა პუნქტს, პროგრამას ახლავს სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თანაფარდობა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის პროცენტულად სწორად არის დაფიქსირებული, მაგრამ გაანგარიშება არ არის ადეკვატური, კერძოდ: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის მოცულობა არის 100 კრედიტი (2500 საათი), თეორიულ კომპონენტს ეთმობა 600 საათი, ხოლო პრაქტიკას 900

საათი, თუმცა 600+900 საათი არის 1500 საათი, და არა 2500 საათი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - „არანაკლები სრული ზოგადი განათლების საბაზო საფეხური“.

1.4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც დამტკიცებულია (2012 წლის 07.09 №3/თ, ბრძანებით) შპს „არგოს“ დირექტორის მიერ, ასახავს ინფორმაციას როგორც მასაჟისტის ასევე ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. პროგრამის კატალოგი მოიცავს ნაწილობრივ ინფორმაციას დაწესებულების, პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესახებ, მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს, სწავლის შედეგებს, კრედიტების ოდენობასა და შეფასების სისტემას. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ბექდური ფორმით წარმოდგენილი კატალოგისგან განსხვავებულ ინფორმაციას მოიცავს.

1.5. მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და მასაჟისტის III საფეხურით განსაზღვრული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, კერძოდ:

III საფეხურის მასაჟისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას სტანდარტის შესაბამისად წარმოადგენს საბაზო განათლება და ასაკი 18 წელი, წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „არანაკლებ სრული ზოგადი განათლების საბაზო საფეხური“, ხოლო პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული ასაკის მოთხოვნა არ ფიქსირდება;

პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მესამე საფეხურის შესაბამისად მისაღწევი სწავლის შედეგები არ არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში;

საექვთა მესამე საფეხურით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის - უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება - I კრედიტის ფარგლებში მიღწევადობა;

1.6. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული კურსზე დაშვების წინაპირობები; გარდა - ურთიერთობის ფსიქოლოგია და პროფესიული ეთიკის საფუძვლებისა - რომლის წინაპირობას წარმოადგენს - არანაკლებ ძირითადი საბაზისო საგანმანათლებლო პროგრამა, რაც გაუგებარია;

1.7. საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში სასწავლო კურსის წინაპირობად მხოლოდ სამკურნალო მასაჟის გავლაა მითითებული. თუმცა საწარმოო პრაქტიკის წინაპირობა, როგორც წესი, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებისა და სასწავლო პრაქტიკის სრულად გავლაა;

1.8. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას და სწავლის შედეგების რუქას, სასწავლო კურსებით: „ექთნის საქმე და სანიტარული ჰიგიენა“, „ურთიერთობის ფსიქოლოგია და პროფესიული ეთიკის საფუძვლები“, „სამკურნალო ფიზკულტურა (კინეზოთერაპია)“-ით განსაზღვრული სწავლის შედეგები არ ემთხვევა პროგრამით წარმოდგენილ სწავლის შედეგების რუქას;

1.9. პროგრამის სასწავლო გეგმის გარდა, დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა წარმოადგინა ცალკე სემესტრული განაწილების მომცველი სასწავლო გეგმა, ერთი პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ ორ სასწავლო გეგმას შორის არის განსხვავება თეორიული, შუალედური შეფასებების და დამოუკიდებელი საათების როდენობებში, (კერძოდ: ცალკე წარმოდგენილ სემესტრულ გეგმაში თეორიული საათების ჯამი არის - 399 სთ ხოლო პროგრამის თანმხლებ სასწავლო გეგმაში თეორიული საათებია 391 სთ, ანალოგიურად

შუალედური შეფასებების საათებია-51 სთ-53 სთ, დამოუკიდებელი საათების ოდენობა 158 სთ-168 სთ).

1.10. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამის სწავლის შედეგები არ ემთხვევა პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, კერძოდ:

პროგრამის სწავლის შედეგების რუქაზე აღნიშნული კომპეტენციების ჩამონათვალი არ ემთხვევა სილაბუსების შედეგების ნაწილში წარმოდგენილ კომპეტენციების ჩამონათვალს. მაგ: „ინფექციური დაავადებების მქონე პირთა მოვლა“; „უნარშეზღუდულ პირთა მოვლა, პირველადი გადაუდებელი დახმარება სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი“; „ბავშვის ზრდა-განვითარება, ავადმყოფი ბავშვის მოვლა“; „ექთნის თანაშემწის საქმე“; „თერაპიული დაავადების მქონე პირების მოვლა“; „ქირურგიული დაავადების მქონე პირების მოვლა“; „ბიოლოგიის (მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგია) საფუძვლები“; „საინფორმაციო ტექნოლოგიები“; „ინგლისური ენა სამედიცინო ტერმინოლოგიით“; „ურთიერთობის ფსიქოლოგიისა და პროფესიული ეთიკის საფუძვლები“; „ფარმაკოლოგიის საფუძვლები“; „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და მათი დაცვა“;

პროგრამის სასწავლო გეგმის გარდა, დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა წარმოადგინა ცალკე შემესტრული განაწილების მომცველი სასწავლო გეგმა, ერთი პროგრამის ფარგლებში ამ სასწავლო გეგმებს შორის არის განსხვავება თეორიული, შუალედური შეფასებების და დამოუკიდებელი საათების რაოდენობებში, (კერძოდ: პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმის ცხრილში საკონტაქტო საათების რაოდენობაა 390 საათი, ხოლო წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში - 1018 საათი, პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმის ცხრილში შუალედური/დასკვნითი შეფასება - 62 საათია, ხოლო წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში - 92 საათი, დამოუკიდებელი მუშაობის საათები პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმაში არის 158 საათი, ხოლო წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში - 275 საათი);

1.11. წარმოდგენილი პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში საკონტაქტო საათების რაოდენობა არ არის სწორად დაჯამებული, მაგ.: საგანში „ურთიერთობის ფსიქოლოგია და პროფესიული ეთიკა“ საკონტაქტო საათების რაოდენობა არის 40, თუმცა ჯამში არის 39 საათი, საგანი - „ბიოლოგიის (მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგია) საფუძვლები“ - საკონტაქტო საათების რაოდენობა არის 55, ხოლო ჯამში არის 60 საათი. ზოგიერთ სილაბუსში ლექცია/პრაქტიკულის გრაფაში, სადაც უნდა იყოს მითითებული საათების რაოდენობა ციფრი არ იკითხება, შესაბამისად ვერ დგინდება ჯამში საათების რაოდენობა. მაგ.: „ექთნის თანაშემწის საქმე“; „ბავშვის ზრდა და განვითარება, ავადმყოფი ბავშვის მოვლა“; „პირველადი გადაუდებელი დახმარება, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი“; „უნარშეზღუდულთა მოვლა“;

1.12. პროფესიულ პროგრამაში პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს: ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, საწარმოო პრაქტიკას, თუმცა პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულია ასევე სასწავლო პრაქტიკა;

1.13. პროგრამის სარეკომენდაციო ფორმით განსაზღვრულ გრაფაში „სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა“ მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს „საექთნოს მეხუთე საფეხურზე“ (სრული ზოგადი განათლების მქონე კურსდამთავრებულთათვის), თუმცა, პროფესიული სტანდარტის თანახმად ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამა ერთსაფეხურიანია და გარდა ამისა, მეხუთე საფეხურზე სწავლის წინაპირობა მოქმედი კანონმდებლობით სხვაგვარადაა განსაზღვრული;

1.14. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „არგოსთან“ არსებული სამედიცინო სასწავლებლის თანამშრომელთა ბრძანების წიგნი, რომელიც გახსნილია 1995 წელს, ხელნაწერი ფორმითაა წარმოებული, წიგნში ტარდება მხოლოდ ბრძანებები თანამშრომელთათვის და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ზონარგაყრილია, დანომრილი და ყოველი ბრძანება დადასტურებულია დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და დაწესებულების ბეჭდით. დაწესებულების დირექტორის მიერ შემუშავებული და ბრძანებით (§18/თ 23.08.2011 წ.) დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც (მუხლი 2.4.4.) ბრძანებები უნდა გამოიცემოდეს დაწესებულების ბლანკზე და უნდა მოიცავდეს გარკვეულ რეკვიზიტებს, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გარდა ბრძანებების ხელნაწერი წიგნის ბლანკზე გამოცემული ბრძანებები. ასევე წარმოდგენილია სტუდენტთათვის ცალკე 88 გვერდიანი რვეული/ბრძანებების წიგნი ზონარგაყრილი და ბეჭდებითა და ხელმოწერით დადასტურებული.

2. ადამიანური რესურსის მიმართებით:

2.1. შპს - არგოს შინაგანაწესის მე-3 მუხლის „თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესის“ თანახმად, დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება კონკურსით ან კონკურსის გარეშე. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებითა და პირადი საქმეებით შესწავლით, კონკურსი არ ჩატარებულა. შრომითი ხელშეკრულებების ნაწილი მოქმედია 01.09.2014 - მდე, ხოლო ნაწილი წლის ბოლომდე, წარმომადგენლის განმარტებით სასწავლო წლის დაწყებისას ფორმდება ახალი ხელშეკრულებები, თუმცა ხელშეკრულებით განსაზღვრულია რომ ცვლილებისა და დამატებისათვის აუცილებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმება. შინაგანაწესის თანახმად თანამშრომელთა პირადი საქმე მოიცავს ერთ-ერთ დოკუმენტად CV-ს არსებობას, ნაწილი თანამშრომლების პირად საქმეში არ აღმოჩნდა ზემოაღნიშნული დოკუმენტი.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ გარკვეული ხასიათის შესწორებები დაწესებულებამ ადგილზე განახორციელა და დამატებით ცენტრში, ვიზიტის დასრულების შემდეგ წარმოადგინა დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დაწესებულებამ თუ გამოასწორა ხარვეზები. მაცვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ ხარვეზები ისევ დაფიქსირდა, მაგალითისათვის შეეძლო მოეყვანა სასწავლო კურსებში არალოგიკური დაშვების წინაპირობები.

თავმჯდომარე დაინტერესდა რა მემორანდუმები იყო გაფორმებული დაწესებულების მიერ საწარმოო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობდნენ „პრივატკლინიკასთან“, კლინიკა „ხერხემალთან“ შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრთან.

საბჭოს წევრი ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა რამდენი პედაგოგი იყო ჩართული პროგრამაში, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში 14 პედაგოგი იყო ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რა პროფილით ხდებოდა მასაჟისტების მომზადება (მაგ. ბავშვის, სპორტსმენებთან სამუშაოდ, რეაბილიტაციისათვის და ა.შ.) და რამდენად თანამშრომლობდნენ მასაჟისტთა ასოციაციასთან, რომლებიც ცდილობენ მასაჟის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და არაპროფესიონალების წინააღმდეგ ბრძოლას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასაჟის სპეციალისტები ეუფლებოდნენ როგორც რეაბილიტაციის მიმართულებას, ასევე სამკურნალო მასაჟს.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას საგანმანათლებლო საქმიანობის ცხრამეტწლიანი გამოცდილება ჰქონდა. წინა წლებში სწავლის საფასური შეადგენდა 60-80 ლარს ამჟამად - 1500 ლარს. კურსდამთავრებულთა 70%-ზე მეტი დასაქმებული იყო.

საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია დაინტერესდა, რატომ არ გაასწორა დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებული შენიშვნები მაშინ, როდესაც სხვა კოლეჯებმა გაითვალისწინეს ექსპერტთა მოსაზრებები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ვიზიტის პერიოდში ინფორმირებულები იყვნენ არსებული უზუსტობების შესახებ, თუმცა ხარვეზების გასწორების ინიციატივა მათი მხრიდან არ მომხდარა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული უზუსტობების გასწორების შესახებ ექსპერტების მხრიდან მითითება არ ყოფილა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მაყვალა დარსანიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იმ ფაქტს, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტმა მას მიუთითა სილაბუსებში არსებულ ხარვეზებზე და სთხოვა მისი გასწორება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი ერთი სილაბუსის შემთხვევაში. ექსპერტის თქმით, არა ერთი, არამედ რამდენიმე სილაბუსზე მოხდა მითითება ვიზიტის დროს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ სილაბუსებში ტექნიკური ხასიათის შენიშვნების გასწორება მოხდა.

მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი და რეკომენდაცია გააცნო დაწესებულების წარმომადგენელს, და აღნიშნა, რომ დაუშვებელი იქნებოდა ის ფაქტი, რომ ექსპერტთა მხრიდან ადგილზე მომხდარიყო დაწესებულებისთვის კონკრეტული მითითებების გაცემა - თუ როგორ გამოსწორებულყო აღნიშნული ხარვეზები. მან ასევე დაამატა, რომ ეს მთლიანად დაწესებულების პრეროგატივა იყო და მან საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოარგოს განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. როგორც მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, დაწესებულებამ ვიზიტის შემდეგ წერილობით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, სადაც დაფიქსირებული იყო დასკვნაში აღნიშნული ხარვეზების გასწორების შესახებ. ექსპერტმა დაადასტურა, რომ გაეცნო პროგრამების შესწორებულ ვარიანტს და აღნიშნა, რომ ისინი კვლავ არ იყო მოყვანილი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით - ცენტრის მიმართ გამოგზავნილ კორესპოდენციაში რატომ არ მოხდა პროგრამებში დაფიქსირებული ხარვეზების გასწორება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნების სწავლება იწყებოდა პირველივე კურსზე, პარალელურ რეჟიმში (მაგ: ანატომია, ლათინური, ინგლისური), შესაბამისად, ინგლისურთან მიმართებით სწავლების წინაპირობას წარმოადგენდა საბაზო განათლების შედეგად მიღებული ინგლისური.

საბჭოს წევრმა, მამია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობის აღება უნდა მომხდარიყო იმავე პროგრამიდან და არა საბაზო განათლებიდან.

საბჭოს წევრი ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა, რა რაოდენობის პროფესიული მასწავლებლები ჰყავდა კოლეჯს და რამდენს შეადგენდა პერსონალის ხელფასი საშუალოდ.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ კოლეჯს სულ ოცი პროფესიული მასწავლებელი ჰყავდა, აქედან რვა მათგანი მუდმივად იყო დასაქმებული ორგანიზაციაში და ყველაზე დაბალი ანაზღაურება 50 ლარს შეადგენდა, ყველაზე მაღალი - 250 ლარს.

საბჭოს წევრმა ირაკლი პეტრიაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს - რა იყო მათი საქმიანობის მოტივაცია, რადგან აღნიშნულ ანაზღაურებაზე გაუჭირდებოდათ კვალიფიციური კადრების მოძიება. მან ასევე აღნიშნა რომ გამოდიოდა რომ დაწესებულება ქველმოქმედებას ეწეოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, როგორ შეაფასებდა პროგრამების გასწორებულ ვერსიას, რაც დაწესებულებამ კორესპოდენციის სახით წარმოადგინა ცენტრში. რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებითი ხარვეზები კვლავ რჩებოდა ორგანიზაციის საგანმანათლებლო პროგრამებში.

მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული უნდა ყოფილიყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და არა სილაბუსზე დაშვების წინაპირობა. მან კითხვით მიმართა ექსპერტს, აღნიშნული პროგრამებით გავიდოდა შედეგზე დაწესებულება თუ ვერა.

მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტმა ჯგუფის მიერ დაკონკრეტებული იყო, რომ აღნიშნული პროგრამებით დაწესებულება ვერ გავიდოდა შესაბამის შედეგზე, თუმცა მათ აღნიშნული არ გაითვალისწინეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ სთხოვა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების დროს გაეთვალისწინებინა კოლეჯის სამუშაო გამოცდილება და იქ დასაქმებული პერსონალის პროფესიონალიზმი და ფინანსური მდგომარეობა. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებდა კანონის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. ამასთან გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დასრულების შემდგომ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც ვერ მოახერხა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორება. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისი აზრით, დაწესებულების მხრიდან სახეზე იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არგოს ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს არგოს (ს/კ: 200012253) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „არგოს“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს შეფასებები და გადაწყვეტილება იყო უსამართლო, რადგან ძალიან დიდი შრომა გასწიეს უშედეგოდ. ექსპერტთა მხრიდან, ამ შემთხვევაში, არაერთგვაროვანი მიდგომა წარმოჩინდა სხვადასხვა დაწესებულების მიმართ.

საბჭოს წევრმა, ირაკლი პეტრიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება შეეძლოთ გაესაჩივრებინათ სასამართლოში ან განმეორებით მოემართათ ცენტრისთვის ავტორიზაციის გასავლელად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აღარ ჰქონდა შესაბამისი ფინანსური სახსრები, რადგან ავტორიზაციის გავლის მიზნით თავიდან მომართვის შემთხვევაში ავტორიზაციის საფასურის - 5 000 ლარის გადახდა მოუწევდათ. ამდენად, იძულებულები იქნებოდნენ შეეწვიტათ საგანმანათლებლო საქმიანობა. მისი თქმით, ამ შემთხვევაში სისტემა წარმოჩინდა როგორც დამსჯელი, ექსპერტთა ჯგუფს შეეძლო ვიზიტის ფარგლებშივე ეთქვათ ნიუანსების შესახებ, რაც შესწორებას საჭიროებდა. თუ ექსპერტები ითანამშრომლებდნენ მათთან, შეძლებდნენ შესაბამისი შესწორებების შეტანას და ასეთი შედეგი არ დადგებოდა.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ თავადაც შედიოდა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში და შეეძლო დაედასტურებინა, რომ მთელი რიგი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა მიეცათ ექსპერტებს, საილუსტრაციოდ მოიყვანა ხელშეკრულებების მაგალითი, წარმოჩინდა, რომ ხელშეკრულებების ნაწილი ვადაგასული იყო და დაწესებულებამ ახალი ხელშეკრულებები გააფორმა ვიზიტის განმავლობაში. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო დაწესებულების კორექსიონიცია, სადაც თავადაც მიუთითებდნენ ექსპერტთა ჯგუფის კვალიფიციურობაზე და ამდენად, მსგავსი განცხადების გაკეთება გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ და ექსპერტთა მიმართ უარყოფითი შეხედულებების დაფიქსირება, მისი აზრით, არ იყო მიზანშეწონილი.

14. შპს საზოგადოებრივ კოლექტ მომავლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა შორენა ჯაფარიძემ, რომელიც ხელმძღვანელობდა ექსპერტთა ჯგუფს და ეკა ლუაშვილმა, რომელიც შედიოდა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ყურადღებას გაამახვილებდა დასკვნის იმ ნაწილებზე, რომელშიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შენიშვნები იქნა დაფიქსირებული, ან მოსაზრებები, მომდევნო სრულყოფის მიზნით, ამდენად, ისაუბრებდა მხოლოდ არსებითი გარემოებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. ექსპერტების აზრით, პროგრამების სწავლის შედეგების რუქაზე სხვადასხვა სასწავლო კურსებისთვის სწავლის შედეგების დაფიქსირება არ არის ბოლომდე გააზრებული. სწავლის შედეგების რუქაზე არ არის დაფიქსირებული ყველა ის კომპეტენცია, რომელსაც სტუდენტი შეიძენს ამა თუ იმ სასწავლო კურსის გავლის შედეგად, ასე მაგალითად, ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, სასწავლო კურსისთვის „ინგლისური ენა“ აღნიშნულია მხოლოდ „კომუნიკაციის უნარი“ და არ არის დაფიქსირებული „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“, მაშინ როდესაც შესაბამის პროფესიულ სტანდარტში მითითებულია, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია „უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება“. ანალოგიური სიტუაციაა სხვა პროგრამებში წარმოდგენილ „ინგლისური ენის“ სილაბუსებთან მიმართებაში;

1.2. სტუდენტთა შეფასების სისტემის ერთერთ კომპონენტს შუალედური შეფასება წარმოადგენს, რომელიც შუალედურ გამოცდასა და მიმდინარე შეფასებებს მოიცავს, ხოლო მიმდინარე შეფასება თავის მხრივ, წერითი „საშინაო დავალებისა“ და „ზეპირი აქტივობისაგან“ შედგება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დაზუსტდა, რომ „ზეპირი აქტივობის“ ქვეშ პროფესიულ სტუდენტთა ზეპირი გამოკითხვა იგულისხმება, რომელიც სასწავლო კურსის გავლის პროცესში მრავალჯერადად ტარდება (8-10). პრაქტიკულად ყველა სასწავლო კურსისთვის იდენტურ კომპონენტებს აფასებს, კერძოდ - ყოველი გამოკითხვის დროს ფასდება ძირითადი ცნებების და ტერმინოლოგიის ცოდნა. ექსპერტებმა ასევე დააფიქსირეს, რომ სილაბუსებში არ არის გაწერილი ისეთი აქტივობების შეფასება, როგორცა: როლური თამაშები, სიტუაციური ამოცანები;

1.3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში მითითებულია, რომ „დასკვნითი გამოცდის არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა ათი დღე პრაქტიკის ობიექტზე ამ კომპონენტების ასათვისებლად“. საწარმოო პრაქტიკის სილაბუსიდან ვერ დგინდება რა სახის

სამუშაო უნდა განახორციელოს პროფესიულმა სტუდენტმა აღნიშნული 10 დღის განმავლობაში ან ვინ უხელმძღვანელებს მას საწარმოში ყოფნის ამ პერიოდში;

1.4. ექსპერტების მიერ დაფიქსირდა, რომ წარმოდგენილ სილაბუსებში პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცედურა და მეთოდები სამი დამოუკიდებელი ჩანაწერით არის წარმოდგენილი, რომელიც თავისი შინაარსით არ არის თანმიმდევრული და იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ასე, მაგალითად: პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ სილაბუსებში დაფიქსირებული პირველი ჩანაწერის თანახმად, „დასკვნითი გამოცდის არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა 10 დღის შემდეგ გავიდეს დამატებით გამოცდაზე, მაშინ, როდესაც იმავე სილაბუსის მეორე ჩანაწერის თანახმად, არადამაკმაყოფილებელი შეფასება არის ორი სახის:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პირველი ჩანაწერის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი აღჭურვილია უფლებით - არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში გავიდეს დამატებით გადმოცდაზე, ხოლო მეორე ჩანაწერით მას ამ უფლების ბოლომდე გამოყენება არ შეუძლია.

სილაბუსში დაფიქსირებული მესამე ჩანაწერის თანახმად, პროფესიული სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე გასვლას შეძლებს, თუ მან შუალედურ შეფასებებში 30 ქულა მოაგროვა, ხოლო დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაეთვლება თუ მან შეძლო 21 ქულის მოგროვება. აღნიშნული ჩანაწერის თანახმად, მაგ: პროფესიული სტუდენტი, რომელიც შუალედურ შეფასებაში მიიღებს 31 ქულას, ხოლო დასკვნითში 20 ქულას მიუხედავად ქულათა ჯამისა-51 ქულა, მას არ ეთვლება გამოცდა ჩაბარებულად, თუმცა იმავე სილაბუსის მეორე ჩანაწერის თანახმად პროფესიული სტუდენტის დადებით შეფასებად ითვლება და მას კრედიტი ათვისებული აქვს თუ მიიღო შეფასება (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმავე მეორე ჩანაწერის თანახმად უარყოფით შეფასებად მიჩნეულია 50-0 ქულის მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ არსებული სამი ჩანაწერი არ არის თანმიმდევრული და ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ცხადად და გამჭვირვალედ.

გარდა ამისა, დაწესებულებას ცალკე წესად აქვს დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომელშიც არ არის ინფორმაცია მოცემული შუალედური შეფასებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა მინიმალური კომპეტენციის შესახებ.

1.5. დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გადამოწმებისას ექსპერტებმა აღმოაჩინეს რომ ისეთი დოკუმენტები, როგორცაა დაწესებულების მისია, დებულება, შრომის შინაგანაწესი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, თავისი შინაარსითა და ფორმით სრულიად იდენტურია იმავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამა წლის 21-23 მაისს გადამოწმებული შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის ანალოგიულ დოკუმენტებთან.

1.6. ექსპერტებმა, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი ტექნიკური ხასიათის ხარვეზები:

პრაქტიკის სილაბუსებში წარმოდგენილი პრაქტიკული მუშაობის შეფასების ფორმულაში გამოტოვებულია გაყოფის ნიშანი, რაც შეუძლებელს ხდის სწორი გამოთვლების განხორციელებას (აღნიშნული უზუსტობა გამოსწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, დირექტორის 2014 წლის 21 ივლისის N7 ბრძანებით);

საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პრაქტიკის გრაფაში არ არის მითითებული საათების ჯამური რაოდენობა (აღნიშნული უზუსტობა გამოსწორებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, დირექტორის 2014 წლის 21 ივლისის N7 ბრძანებით);

უზუსტობაა დაშვებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში პრაქტიკის მოცულობის გამოთვლისას, ასე მაგალითად, ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი) III საფეხურის საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში შემდეგ ჩანაწერს ვხვდებით: „პრაქტიკის მოცულობა - 10 კრედიტი, რაც შეესაბამება პროფესიული სტუდენტის 250 საათიან დატვირთვას. საწარმოო პრაქტიკის დღის ხანგრძლივობაა 8 საათი, პრაქტიკის კვირების რაოდენობა - 7, დღეების რაოდენობა - 34 სამუშაო დღე.“ თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეების რაოდენობა 34 შეადგენს, ხოლო საწარმოო პრაქტიკის დღის ხანგრძლივობაა 8 საათია - პროფესიული სტუდენტის დატვირთვა 272 საათს შეადგენს, ნაცვლად სილაბუსში მითითებული 250 საათისა.

პრაქტიკის სილაბუსებში არ არის მითითებული კვირების და ცალკეულ თემებზე განკუთვნილი საათების რაოდენობა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არსებობს შესაბამის პროგრამებში წარმოდგენილ ცხრილში.

1.7. დაწესებულებაში შემუშავებულია დირექტორის 2014 წლის 04 ივნისის N01 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“, რომელის გადამოწმებისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლის, პუნქტი 2.1-ს შესაბამისად, „სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილი სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის მოტივით, ან მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა“. ექსპერტებმა გადაამოწმეს დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ფორმა, რომელშიც არ არის დაკონკრეტებული რომელი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შეუჩერდება სტუდენტს სტატუსი (დანართები №8, №10); ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, დაწესებულება იღებს ვალდებულებას „შეუქმნას პროფესიულ სტუდენტს საუკეთესო პირობები (...) და დამოუკიდებელი კვლევისთვის“, რაც არ შეესაბამება პროფესიული განათლების შინაარსსა და მიზნებს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1. დაწესებულების მფლობელობაშია მოსკოვის გამზ №18-ში მდებარე სამსართულიანი შენობის მესამე სართულზე განთავსებული 800 კვ.მ. ფართი, შენობა დაწესებულებას გადაცემული აქვს ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ქვემეიჯარედ ფიქსირდება შპს - თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აჭარა“. აღსანიშნავია, რომ შპს - თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „აჭარას“ იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს 1000 კვ.მ. ფართი, ხოლო ქვეიჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 800 კვ.მ. ფართზე, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდანაც, თუმცა, ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა დოკუმენტურად იდენტიფიცირება, 1000 კვ.მ. ფართიდან კონკრეტულად რომელი 800 კვ.მ. აქვს გადაცემული დაწესებულებას, რადგან არ იქნა წარმოდგენილი შენობის შიდა აზომვითი ნახაზი.

2.2. დაწესებულებას პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკით უზრუნველსაყოფად გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს

„გაკო ტერმინალთან“, შპს „ინტელექტ ცენტთან“ და შპს აუდიტორულ ფირმასთან „ბაკაშვილი და კომპანია“.

ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ორი მათგანი (შპს „გაკო ტერმინალი“ და შპს „ინტელექტ ცენტრი“).

გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: შპს „გაკო ტერმინალში“ ვიზიტის დროს არ დადასტურდა დაწესებულების მზაობა მიიღოს პროფესიული სტუდენტები და გაატაროს პრაქტიკა. კერძოდ, სილაბუსის თანახმად (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი), სტუდენტს შეუძლია:

„სატარიფო ღირებულებების, საჭირო ლიცენზიების, ნებართვებისა და სერთიფიკატების განსაზღვრა, სასაქონლო ნომენკლატურის კოდის განსაზღვრა, კონკრეტული საქონლისა და სასაქონლო ოპერაციების მიხედვით გადასახადების სახეობების და განაკვეთების განსაზღვრა“ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ შპს „გაკო ტერმინალის“ შესაბამისი საქმიანობის პროფილი და იმის შესაძლებლობა, რომ ზემოაღნიშნული კომპეტენციები გამოუმუშავდეთ პროფესიულ სტუდენტებს, ბაზის მონახულებისას შენობაში მყოფმა ერთადერთმა თანამშრომელმა არ დაადასტურა.

ვიზიტის დროს ასევე გადამოწმდა შპს „ინტელექტ ცენტრი“, ექსპერტი ესაუბრა დაწესებულების დირექტორს და წარმოჩინდა, რომ დაწესებულება მზად არის პროფესიული სტუდენტების მისაღებად, თუმცა, მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ თანამშრომლობა შეიძლება ემსახურებოდეს სასწავლო პრაქტიკის უზრუნველყოფას, ხოლო საწარმოო პრაქტიკა შეიძლება გაიაროს მხოლოდ რამდენიმე სტუდენტმა, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ შპს „ინტელექტ ცენტრი“ თანამშრომლობს მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შესაბამისი მიზნით.

2.3. დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის დოკუმენტირების რეგისტრაციისა და ინდექსირების წესების მიხედვით, დოკუმენტის შემოსვლისას უნდა მოხდეს მასზე სპეციალური ინდექსის დასმა და შესაბამის სარეგისტრაციო ფორმებში დოკუმენტის შესახებ საჭირო ცნობების ჩაწერა. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ინდექსი შემოსულ კორესპოდენციაზე არ ფიქსირდება.

2.4 დაწესებულებაში არ მიმდინარეობს ხელშეკრულებების აღრიცხვა.

2.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს ერთწლიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის 2014 წლის 04 ივნისის N01 ბრძანებით. დაწესებულების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2014–2020 წ.) სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს სტრატეგიული განვითარების მიმართულებების, მიზნების და კოლეჯში გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმაში არ არის წარმოაგენილი მიზნების რეალიზაციის მკაფიო და დამაჯერებელი გზები, არ არის დაფიქსირებული შესრულების ვადები, ინდიკატორები, რისკები, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდები და გზები. გეგმაში აღნიშნული კომპონენტების წარმოდგენა გაამარტივებს დასახული მიზნების და ამოცანების შესრულების შემოწმებას.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1. დაწესებულების შინაგანაწესის მე-7 მუხლის 7.3 პუნქტის თანახმად, კოლეჯში სამუშაოდ არ მიიღება პირი, თუ იგი: „ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და ნასამართლობა არ აქვს გაქარწყლებული; სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონედ; სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შეაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; სამედიცინო დასკვნის თანახმად, მისი

ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ პირობებს“. ექსპერტების მიერ დაწესებულების როგორც პროფესიული მასწავლებლების, ასევე, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღნიშნული მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები არ აღმოჩნდა.

3.2. დაწესებულების პერსონალის პირად საქმეებში განთავსებულ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნაწილის ასლები არ არის შესაბამისი წესით დამოწმებული;

3.3. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ „შრომის კოდექსის“ 6 მუხლის 9 პუნქტში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები (მაგალითად, სამუშაო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური მუშაობის პირობები და წესი, პერსონალის კვირის განამავლობაში საათობრივი დატვირთვის მაქსიმუმი და ა.შ.) გაწერილია დაწესებულების მიერ პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებსა და კოლეჯის შრომის შინაგანაწესში. თუმცა ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ ისეთი არსებითი პირობა, როგორცაა „სამუშაო ადგილი“ არცერთ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებისა და შენიშვნების საფუძველზე, დაწესებულებამ, მოახერხა თუ არა პროგრამაში ცვლილებების შეტანა. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს გამოვლინდა გარკვეული მექანიკური შეუსაბამოებები, რის შესახებაც ექსპერტთა ჯგუფმა აცნობა დაწესებულების წარმომადგენელს და რეკომენდაცია მისცა შეესწორებინა, თუმცა, ასევე დაფიქსირდა შენიშვნები, რომლებსაც მეტად გააზრება სჭირდებოდა და მოკლე ხანში ცვლილებების გატარება მიზანშეწონილი არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ წამოღებული ჰქონდათ რამდენიმე სილაბუსი, რომლითაც შეიძლებოდა მარტივად დადასტურება, რომ ერთიდაიგივე აქტივობები არ იყო გამოყენებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნას თან ახლდა დანართები, რომელთა მეშვეობით შეიძლებოდა დასკვნაში დაფიქსირებული ინფორმაციის უტყუარობის დადასტურება.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოყვანილ ინფორმაციას, შპს „გაკო ტერმინალის“ საქმიანობის პროფილის პრაქტიკის სილაბუსთან შეუსაბამობის თაობაზე და აღნიშნა, რომ დასკვნის მიღების შემდეგ მიმართეს შპს „გაკო ტერმინალს“ და სთხოვეს წერილობით დადასტურება, რომ ორგანიზაცია საქმიანობდა სწორედ შესაბამისი მიმართულებით. წარმომადგენელმა საბჭოზე წარმოადგინა შპს „გაკო ტერმინალიდან“ მიღებული კორესპოდენცია.

ცენტრის თანამშრომელმა, ლიკა გიორგაძემ, რომელიც შედიოდა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში საბჭოს განუმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებული, როგორც დოკუმენტაცია, ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა გადამოწმა უშუალოდ პრაქტიკის ობიექტი, რათა დაედასტურებინა მისი მზაობა, პროფესიული სტუდენტების მისაღებად.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, როდესაც დაწესებულება ითხოვდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას, პროფესიული მასწავლებლების სამუშაოზე აყვანისას, ხომ არ ნიშნავდა ეს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს არ შეეძლოთ ლექციების წაკითხვა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ შინაგანაწესში შესაბამისი ცვლილებები უკვე შეტანილი ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შესაბამისი ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ცვლილებები განხორციელებული იყო, თუმცა, ამის დოკუმენტურად დადასტურება დღეისათვის საბჭოზე არ შეეძლოთ.

პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ვიზიტის დროს მართლაც მხოლოდ ერთი თანამშრომელი აღმოჩნდა შენობაში, რომელმაც არც კი იცოდა საქმის არსი. მისი თქმით, დაწესებულების დირექტორმა ბოდინი მოიხადა, რომ დაკავებული იყო და ვერ შეძლო ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრება.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დროსვე, ბაზის მონახულების შემდეგ გააცნო თავისი მოსაზრება, პრაქტიკის ობიექტის პრაქტიკის სილაბუსის მიზნებთან შეუსაბამობის თაობაზე, რაც გაიზიარეს დაწესებულების წარმომადგენლებმა და აღნიშნეს, რომ თავადაც იცოდნენ ამის შესახებ, თუმცა, თბილისში გაუჭირდათ შესაბამისი ობიექტის მოძიება, შესაბამისი ობიექტი ეგულებოდათ ქალაქ ფოთში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებული ხარვეზები იყო არებითი ხასიათის. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისი აზრით, დაწესებულების მხრიდან სახეზე იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 და მე-7 მუხლების „ა“, მე-7 მუხლის „ე“ და მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტების დარღვევა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ მომავლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ მომავალს (ს/კ: 400046623) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთა განხილვის დასრულების შემდეგ, 21:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი



მდივანი
ლიანა ზამზახიძე

